საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №35/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 26 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის №35/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

2018 წლის 5 თებერვალს სასამართლო სხდომის გახსნისას მოსამართლის მიერ საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის მიზეზის ირონიულად შეკითხვამ (მოსამართლემ იცოდა გამოუცხადებლობის მიზეზი, ვინაიდან 2018 წლის 18 იანვარს სასამართლოს ჩაბარდა ბრალდებულის 2018 წლის 12 იანვრის განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 2018 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის გადადების შესახებ) გამოიწვია -- -- გაღიზიანება და აღელვება, იგი თავს ვერ უწევდა კონტროლს, რის გამოც მოხდა მის მიერ თვითდაზიანების მიყენება კისრის არეში, რაც საფუძვლად დაედო მოსამართლის განკარგულებას მისი დარბაზიდან გაძევების შესახებ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა სს საქმე -- -- მიმართ.

2018 წლის 17 იანვრის არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა №-- პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგეს პატაკი, რომელსაც ერთვოდა ოქმი, რომლითაც ბრალდებული უარს აცხადებდა სასამართლო პროცესზე წასვლაზე. 2018 წლის 18 იანვარს -- სასამართლოში შევიდა მსჯ. -- -- განცხადება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 2018 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის ერთი თვით გადადების შესახებ.

2018 წლის 5 თებერვალს მოსამართლე -- -- ადგილზე თათბირით მიიღო განკარგულება ბრალდებულ -- -- სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

2018 წლის 31 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულის სასამართლო სხდომაზე დაშვების შესახებ. 2018 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე ბრალდებული -- -- დაკითხულ იქნა მოწმედ.

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2019 წლის 24 იანვრის განაჩენით:

1. -- -- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 14:10 საათის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
2. -- -- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 18:11 საათის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
3. -- -- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
4. -- -- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 19 მაისის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა - 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქოს დანარჩენი სამი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, -- -- მოსახდელად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს - 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს წინა განაჩენებით დანიშნული/განსაზღვრული სასჯელების - თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის მოუხდელი ნაწილიდან – 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, -- -- მოსახდელად განესაზღვროს 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
7. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენის მიღების დღიდან - 2019 წლის 24 იანვრიდან.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 26 თებერვლის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, ხოლო „ვ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დისციპლინურ

გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის სტანდარტების დაცვა ერთ-ერთ უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევალათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე. მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.[1]

სამოსამართლო ქცევის ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განმარტებაა გაკეთებული სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ (3.1) მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. (3.2) მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ.

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და

[1] იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №3 (2002)

ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.[2]

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახამად, „მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.“ ამავე წესების მე-9 მუხლის თანახამად, „მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.“

მოსამართლე გამორჩეული უნდა იყოს ადამიანური თვისებებით. იგი სანდომიანად, თავაზიანად და ღირსებით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებს. მოსამართლის მხრიდან მსგავსი ქცევა პროცესის მონაწილეებს განაწყობს კეთილად და ნდობით, არა მარტო ამ მოსამართლის, არამედ მთელი მართლმსაჯულების პროცესის მიმართ.

-- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის 2018 წლის 5 თებერვლის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- მიერ ადგილი არ ჰქონია ეთიკის ნორმების დარღვევას. მოსამართლე თავაზიანობით გამოირჩეოდა ბრალდებულის მიმართ, როდესაც ჰკითხა ბრალდებულს 2018 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი.

ამდენად, მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 14 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

[2] იხ. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები (გვ. 196, პუნქტი 215) http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №35/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი